სამუშაო ძალის გამოკვლევა

1. საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტი შრომის სტატისტიკის სამმართველო
1.3. საკონტაქტო პირი	ვასილ წაქაძე ირმა გვილავა
1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია	სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი შრომის სტატისტიკის სამმართველოს უფროსი
1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	vtsakadze@geostat.ge igvilava@geostat.ge
1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (600) +995 32 236 72 10 (608)
1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი	-

2. მეტამონაცემების განახლება	
2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2025 წ. 30 მაისი
2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2025 წ. 30 მაისი
2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება	2025 წ. 30 მაისი

3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა

3.1. მონაცემების აღწერა

სამუშაო ძალის გამოკვლევის კვარტალური და წლიური მონაცემები

სამუშაო ძალის გამოკვლევა არის შერჩევითი გამოკვლევა, რომელიც ტარდება შინამეურნეობებში. კვლევის მთავარი მიზანია საქართველოში 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის სამუშაო ძალის სტატუსის (დასაქმებული, უმუშევარი და მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ) შესახებ მონაცემების წარმოება.

3.2. კლასიფიკაციის სისტემა

- ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორი (NACE Rev. 1.1) 001-2004;
- ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორი (NACE Rev. 2) 006-2016 (2017 წლიდან);
- დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია (ISCO-88) (2006);
- დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია (ISCO-08) (2020);
- დასაქმების სტატუსის საერთაშორისო კლასიფიკატორი (ICSE-93).

3.3. სექტორის მოცვა

მოიცავს კერძო შინამეურნეობებში მცხოვრებ 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობას. არ მოიცავს:

- პირებს, რომელთა შინამეურნეობაში არყოფნის ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს;
- სამხედრო პირებს (გაწვეულები და სამხედრო პირები), რომლებიც ცხოვრობენ ყაზარმებში;
- საპატიმროებში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, მოხუცთა თავშესაფრებში, სკოლა-ინტერნატებსა და სხვა ინსტიტუციურ დაწესებულებებში მცხოვრებ პირებს.

3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები

შინამეურნეობა არის ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც ექვემდებარება ერთ საცხოვრებელ ერთეულში ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო ბიუჯეტით (ან მისი ნაწილით), ნათესაური ან/და არანათესაური ურთიერთობებით (შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს ერთი პირისგანაც).

ინსტიტუციურ შინამეურნეობებს შეადგენენ პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ობოლ და მშობლების მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სახლებში, ქრონიკულად დაავადებულთა საავადმყოფოებში, რელიგიურ დაწესებულებებში (მონასტრებში), თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, ყაზარმებში და სხვა მსგავს დაწესებულებაში.

საანგარიშო პერიოდი – გასული 7 დღე, რომელიც უსწრებს ინტერვიუს თარიღს.

სამუშაო ძალა (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა) – დასაქმებული და უმუშევარი მოსახლეობა.

დასაქმებული – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) განმავლობაში მუშაობდა სულ მცირე ერთი საათი მაინც შრომის ანაზღაურების ან მოგების მიღების მიზნით, ან დროებით არ იმყოფებოდა სამუშაოზე შვებულების, ავადმყოფობის, ტექნიკური, ეკონომიკური ან სხვა მსგავსი მიზეზის გამო.
დაქირავებული – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს სულ მცირე ერთი საათი მაინც შრომის ანაზღაურების მიღების მიზნით, ფულადი ან ნატურის სახით, ან დროებით არ იმყოფებოდა სამუშაოზე შვებულების, ტექნიკური, ეკონომიკური ან სხვა მსგავსი მიზეზის გამო.
თვითდასაქმებული – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში მუშაობდა სულ მცირე ერთი საათი მაინც მოგების მიღების მიზნით ან დროებით არ იმყოფებოდა სამუშაოზე.
არასრულად დასაქმებული – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ სამ პირობას: 1. განაცხადა, რომ იყო არასრულად დასაქმებული; 2. გასული 4 კვირის განმავლობაში ეძებდა სხვა ან დამატებით ანაზღაურებად სამუშაოს ან ცდილობდა საკუთარი საქმის წამოწყებას; 3. მზად იყო დაეწყო მეტი დროით მუშაობა მომდევნო 2 კვირაში.
არაფორმალური დასაქმება – არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულები, რომლებიც თავიანთ სამუშაოზე არ იყვნენ ან ნაწილობრივ იყვნენ დაცული ფორმალური შეთანხმებებით (არ იხდიდა საშემოსავლო გადასახადს ხელფასიდან; დასაქმებულს არ შეეძლო ესარგებლა ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულებით; დასაქმებულს არ შეეძლო ესარგებლა ანაზღაურებადი საავადმყოფო ფურცლით ავადმყოფობის შემთხვევაში; ან/და დამსაქმებელი არ იხდიდა საპენსიო ფონდში შენატანს) ან განსაზღვრავენ საკუთარი დასაქმების სტატუსს როგორც ოჯახის საწარმოში/მეურნეობაში დამხმარე, ან მუშაობდნენ საწარმოებში, რომლებიც არ არის რეგისტრირებული.
უმუშევარი – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) განმავლობაში არ იყო დასაქმებული, გასული 4 კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებდა სამუშაოს და პოვნის შემთხვევაში მზად იყო მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.
ხანგრძლივი დროით უმუშევარი – პირი, რომელიც უმუშევარია 12 თვის ან მეტი ხნის განმავლობაში.
სამუშაო ძალის გარეთ – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) განმავლობაში არ იყო დასაქმებული, არ ეძებდა სამუშაოს გასული 4 კვირის განმავლობაში და/ან არ იყო მზად მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.
პოტენციური სამუშაო ძალა – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) განმავლობაში არ იყო არც დასაქმებული და არც უმუშევარი, ამასთან: ა) გასული 4 კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებდა სამუშაოს, მაგრამ მზად არ იყო მუშაობის დასაწყებად უახლოეს 2 კვირაში; ან ბ) არ ეძებდა სამუშაოს გასული 4 კვირის განმავლობაში, მაგრამ მზად იყო მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.
უმუშევრობის დონე – უმუშევართა პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის სამუშაო ძალაში.
ხანგრძლივი უმუშევრობის დონე – ხანგრძლივი დროით უმუშევართა პროცენტული წილი სამუშაო ძალაში.
სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე (აქტიურობის დონე) – სამუშაო ძალის პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობაში.
დასაქმების დონე – დასაქმებულთა პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობაში.
არასრული დასაქმებისა და უმუშევრობის კომბინირებული დონე: [(არასრულად დასაქმებული პირები + უმუშევრები) / სამუშაო ძალა] x 100.
უმუშევრობისა და პოტენციური სამუშაო ძალის კომბინირებული დონე: [(უმუშევრები + პოტენციური სამუშაო ძალა) / გაფართოებული სამუშაო ძალა (სამუშაო ძალა + პოტენციური სამუშაო ძალა)] x 100
არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალის დონე: [(არასრულად დასაქმებული პირები + უმუშევრები + პოტენციური სამუშაო ძალა) / გაფართოებული სამუშაო ძალა (სამუშაო ძალა + პოტენციური სამუშაო ძალა)] x 100.
ფაქტობრივად ნამუშევარი საათები მოიცავს დროს, რომელსაც საანგარიშო პერიოდში (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) დასაქმებული პირები ხარჯავენ უშუალოდ სამუშაოს შესრულებაზე ან მასთან დაკავშირებულ საქმიანობებზე; ასევე, მოიცავს სამუშაოს დროებით შეჩერებისა და მოკლე შესვენების დროს.
ჩვეულებრივი ნამუშევარი საათები წარმოადგენს ხანგრძლივი დაკვირვების პერიოდის განმავლობაში კვირაში ყველაზე ხშირად ფაქტობრივად ნამუშევარი საათების რაოდენობას.
ახალგაზრდები, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებულები და არ გადიან ტრენინგებს (NEET) – იმ ახალგაზრდების პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობაში, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებული და არ გადიან ტრენინგებს.

3.5. სტატისტიკური ერთეული

15 წლის და უფროსი ასაკის შინამეურნეობის წევრები.

3.6. სტატისტიკური პოპულაცია
გენერალური ერთობლიობა, საიდანაც ხდება შერჩევა, მოიცავს ქვეყნის ყველა შინამეურნეობას მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით ინსტიტუციური შინამეურნეობების გარდა.
3.7. საანგარიშო არეალი
საქართველოს მთელი ტერიტორია ოკუპირებული ტერიტორიების გარდა.
3.8. დროის მოცვა
წლიური 1998 წლიდან; კვარტალური 2018 წლიდან.
3.9. საბაზო პერიოდი
-

4. ზომის ერთეული
ათასი კაცი, პროცენტი.

5. საანგარიშო პერიოდი
კვარტალი, წელი.

6. ინსტიტუციური მანდატი
6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები
საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“; https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf
6.2. მონაცემთა გაზიარება
-

7. კონფიდენციალურობა
7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა
1. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“: • კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სტატისტიკური კონფიდენციალურობა და მონაცემების ექსკლუზიურად სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოს მიერ შეგროვებული ან მიღებული ფიზიკური ანიურიდიული პირის შესახებ პერსონალური მონაცემები ან/და ინდივიდუალური მონაცემები კონფიდენციალური უნდა იყოს და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული. • კანონის 34-ე მუხლის (მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ეს მონაცემები სტატისტიკური ერთეულის პირდაპირი იდენტიფიცირების ან არაპირდაპირი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ამასთანავე, აგრეგირებული მონაცემები კონფიდენციალურად მიიჩნევა, თუ: ა) ეს მონაცემები არაუმეტეს 3 სტატისტიკურ ერთეულს ეხება და აღნიშნული მონაცემებით შესაძლებელია ერთ-ერთის არაპირდაპირი იდენტიფიცირება ან/და მჟღავნდება ამ ერთეულის/ერთეულების შესახებ კონფიდენციალური მონაცემები. 3-ზე მეტი სტატისტიკური ერთეულის შესახებ აგრეგირებული მონაცემები შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ მონაცემებად საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით, თუ საჭიროა ამ მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფა; ბ) ეს მონაცემები „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო საიდუმლოებად არის მიჩნეული. 2. კონფიდენციალური მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ კანონის შესაბამისად ექსკლუზიურად სტატისტიკის წარმოებისთვის. 3. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ ინფორმაციად, გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციისა. 4. საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან მიღებული ინდივიდუალური მონაცემები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციად არის მიჩნეული, არ ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად. 5. კონფიდენციალური ინდივიდუალური მონაცემების გამოქვეყნება შესაძლებელია, თუ არსებობს სტატისტიკური ერთეულის წერილობითი თანხმობა ამ

მონაცემების გამოქვეყნებაზე. 6. კონფიდენციალური მონაცემების გაცემა, გავრცელება ანარასტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება დაუშვებელია. • კანონის 38-ე მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოების თანამშრომლებს ეკრძალებათ სტატისტიკური მიზნებისთვის შეგროვებული დ ადამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების პირადი, აკადემიური, სამეცნიერო ან სხვა საქმიანობისთვის გამოყენება და გავრცელება. https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf 2. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკა“ https://www.geostat.ge/media/60538/konfidencialurobis-politika_2024.pdf 3. „კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესი“ https://www.geostat.ge/media/61497/დადგენილება--3.pdf 4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437
7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა
• კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები. • საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.

8. გამოქვეყნების პოლიტიკა
8.1. გამოქვეყნების კალენდარი
მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის საფუძველზე შემუშავებული კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.
8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა
https://www.geostat.ge/ka/calendar
8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა
მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.

9. გავრცელების სიხშირე
წლიური, კვარტალური.

10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა
10.1. პრეს–რელიზები
პრეს-რელიზი ვრცელდება გამოკვლევის შედეგებთან ერთად: https://www.geostat.ge/ka/relationsOfCategory/37/post
10.2. პუბლიკაციები
საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: https://www.geostat.ge/ka/single-categories/95/sakartvelos-statistikuri-tselitsdeuli
10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა
ონლაინ მონაცემთა ბაზა წარმოდგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებსაიტზე მონაცემთა გავრცელების პროგრამა PC-Axis-ის ფორმატში: https://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database
10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა
„კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონი სამეცნიერო პროგრესის ხელშესაწყობად მომხმარებლებს აძლევს საშუალებას მიიღონ წვდომა ინდივიდუალურ მონაცემებზე. ინდივიდუალური მონაცემების ფაილებში წაშლილია ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი იდენტიფიკატორი, როგორიცაა, მაგალითად, პირადი ნომერი, მისამართი და სახელი. ექსტრემალური მნიშვნელობები და მსგავსი არაპირდაპირი იდენტიფიკატორები კი მოსწორებულია შესაბამისი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით. გამჟღავნების რისკის მინიმუმამდე დასაყვანად ყველა ფაილი სათანადოდ არის ანონიმიზებული: https://www.geostat.ge/media/61497/დადგენილება--3.pdf

გამოკვლევის ანონიმიზებული მიკრომონაცემები SPSS-ის ფორმატში ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე, შემდეგ მისამართზე: შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა, 2009-2016 წლები: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/128/2009-2016-tslebis-shinameurneobebis-integrirebuli-gamokvlevis-da-2017-tslis-shinameurneobebis-shemosavlebisa-da-kharjebis-kvlevis-monatsemta-bazebi სამუშაო ძალის გამოკვლევა, 2017 წლიდან: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/130/samushao-dzalis-gamokvlevis-monatsemta-bazebi
10.5. სხვა
ოფიციალური სტატისტიკის შესახებ კანონის თანახმად, სტატისტიკური მონაცემები საჯაროა და საქსტატი უზრუნველყოფს სტატისტიკური მონაცემების მიწოდებას ყველა მომხმარებლისათვის ელექტრონული თუ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.
10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე
სამუშაო ძალის გამოკვლევის მეთოდოლოგიური დოკუმენტაცია განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/552/methodologia-sotsialuri-statistika
10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ
-

11. ხარისხის მართვა
11.1. ხარისხის უზრუნველყოფა
სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 თავით „ოფიციალური სტატისტიკის ხარისხი“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (ESS QAF).
11.2. ხარისხის შეფასება
საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს, თვითშეფასების გამოკვლევას და აფასებს სტატისტიკური პროდუქტებისა და პროცესების ხარისხთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. საქსტატის ხარისხის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/media/44379/QP_Geostat_GE.pdf

12. შესაბამისობა
12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები
სამუშაო ძალის სტატისტიკური მონაცემების მომხმარებლები არიან: სახელმწიფო უწყებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, მკვლევარები, ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები, მედია საშუალებები, პროფესიული კავშირების წარმომადგენლები, სტუდენტები, კერძო პირები და სხვ. მომხმარებლები აღნიშნულ მონაცემებს იყენებენ საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შეფასებისა და გაანალიზების მიზნით.
12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება
2023 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/ka/page/customer-service
12.3. სისრულე
სამუშაო ძალის გამოკვლევიდან მიღებული ინფორმაცია შეესაბამება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) რეკომენდაციებს.

13. სიზუსტე და სანდოობა
13.1. ზოგადი სიზუსტე

სამუშაო ძალის გამოკვლევა ეფუძნება შერჩევით მეთოდს. ჩვეულებრივ, ამ პროცესს თან ახლავს სტატისტიკური გადახრის (ცდომილების) არსებობა. შესაბამისად, გამოკვლევის შედეგების გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება შერჩევის სტრანდარტული გადახრა.

13.2. შერჩევითი ცდომილება

გამოკვლევის შერჩევის ზომა შეადგენს დაახლოებით 6 400 შინამეურნეობას კვარტალში. 2024 წელს გამოპასუხების დონემ, რომელიც არის კვლევაში მონაწილე (გამოკითხული) და კვლევისთვის შერჩეული შინამეურნეობების ფარდობა, შეადგინა 82.4 პროცენტი. ცხრილში წარმოდგენილია მაჩვენებლების სტანდარტული ცდომილება, ნდობის ინტერვალი და ვარიაციის კოეფიციენტი ძირითადი მაჩვენებლებისთვის:

	სტანდარტული ცდომილება	95%-იანი ნდობის ინტერვალი		ვარიაციის კოეფიციენტი
		ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი	
უმუშევრობის დონე, %	0.5	13.0	14.8	3.3
სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე, %	0.4	53.9	55.6	0.8
დასაქმების დონე, %	0.5	46.2	48.0	1.0

13.3. არაშერჩევითი ცდომილება

არაშერჩევითი ცდომილება შეიძლება გამოწვეული იყოს გამოუპასუხებლობით – რესპონდენტის მხრიდან ინფორმაციის მოწოდებაზე უარის თქმით; ინფორმაციის არაზუსტად ან არასრულად მოწოდებით, აგრეთვე რესპონდენტის ნაცვლად შინამეურნეობის სხვა წევრის გამოკითხვით.
არაშერჩევითი ცდომილების მინიმიზაციის მიზნით, უშუალოდ რესპონდენტის გამოკითხვის მიზნით ინტერვიუერმა შინამეურნეობაში უნდა განხორციელოს 3 ვიზიტი.

14. დროულობა და პუნქტუალურობა

14.1. დროულობა

2018 წლამდე სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემები ვრცელდებოდა წლიურად, ხოლო 2018 წლიდან მონაცემები ვრცელდება კვარტალურად:

- კვარტალური – საანგარიშო პერიოდის გასვლიდან 50-ე დღეს;
- წლიური – საანგარიშო პერიოდის მომდევნო წლის მაისში.

14.2. პუნქტუალურობა

მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა

15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული

სამუშაო ძალის გამოკვლევის მაჩვენებლების გაანგარიშება ხორციელდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტების მიხედვით. გამოყენებული მეთოდოლოგია შესადარისია რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.

15.2. შესადარისობა – დროში

დროითი მწკრივის მონაცემები 2010 წლამდე და 2010 წლის შემდეგ პერიოდებისთვის ერთმანეთთან შესადარისი არ არის. 1998-2009 წლების მონაცემები შეესაბამება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მიერ შრომის სტატისტიკოსთა მე-13 საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებულ სტანდარტებს, ხოლო 2010 წლიდან – შსო-ს მიერ შრომის სტატისტიკოსთა მე-19 კონფერენციაზე მიღებულ ახალ სტანდარტებს. გარდა ამისა, 2010-2019 წლების მონაცემები გადაანგარიშებულია შსო-ს ახალი სტანდარტების შესაბამისად.

15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის

შესადარისობა მოსახლეობის დემოგრაფიულ მონაცემებთან

სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემები არ ემთხვევა საქსტატის ვებსაიტზე განთავსებულ დემოგრაფიულ მონაცემებს (მოსახლეობის რიცხოვნობა სქესის, ასაკის და რეგიონების მიხედვით), რომლის საფუძველს წარმოადგენს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემები, შემდეგი ძირითადი მიზეზების გამო:

- სამუშაო ძალის გამოკვლევა არის შერჩევითი გამოკვლევა, რომელსაც აქვს შერჩევითი ცდომილება;
- მოსახლეობის დემოგრაფიული მონაცემები მოიცავს მოსახლეობის როგორც არაინსტიტუციურ, ისე

ინსტიტუციურ ნაწილს, განსხვავებით სამუშაო ძალის გამოკვლევისაგან, რომელიც არ მოიცავს ინსტიტუციურ დაწესებულებებში მცხოვრებ პირებს;

- ქვეყნის სახელმწიფო ორგანიზაციების სახით საზღვარგარეთ გრძელვადიან მივლინებაში წასული საქართველოს მოქალაქეები (მაგალითად, საელჩოების, საკონსულოების, წარმომადგენლობების თანამშრომლები, საერთაშორისო ორგანიზაციებში მომუშავე, მასმედიის წარმომადგენლები, რომლებიც მუდმივად არიან აკრედიტებული საზღვარგარეთის ქვეყნებში, და მათი ოჯახის წევრები) მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს აღიწერებიან ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილებზე (ე. ი. იმ ქვეყნებში, სადაც იმყოფებიან აღწერის მომენტში); მოსახლეობის ეს კატეგორია ჩაირთვება საქართველოს მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობაში, მაგრამ ვერ მოხვდება სამუშაო ძალის გამოკვლევაში, რადგან ის მხოლოდ საქართველოს ტერიტორიას მოიცავს და ა.შ.

შესადარისობა საწარმოთა და ორგანიზაციათა გამოკვლევებთან

სამუშაო ძალის გამოკვლევიდან მიღებული დასაქმების მონაცემები განსხვავებულია საწარმოთა და ორგანიზაციათა გამოკვლევიდან მიღებული მონაცემებისგან შემდეგი ძირითადი მიზეზებით:

- **დაკვირვების პერიოდი:** სამუშაო ძალის გამოკვლევის მიხედვით დაკვირვების პერიოდი განისაზღვრება ერთი კვირით (გასული 7 დღე, რომელიც უსწრებს ინტერვიუს თარიღს); საწარმოთა/ორგანიზაციების კვლევებში დაკვირვების პერიოდს წარმოადგენს კვარტალი/წელი;
- **მეთოდოლოგიური განსხვავება:** საწარმოებისა და ორგანიზაციების გამოკვლევებით მონაცემები გროვდება თითოეული დაკვირვების ერთეულიდან. ეს გამოკვლევები ფაქტობრივად უფრო მეტად სამუშაო ადგილების რაოდენობას ითვლიან, ვიდრე დასაქმებული პირების რაოდენობას. სამუშაო ძალის გამოკვლევა – პირიქით, ცალკეული ინდივიდების გამოკვლევაა. ის ითვლის ადამიანებს და შესაბამისად უზრუნველყოფს დასაქმებულთა რაოდენობის დათვლას. თუმცა სამუშაო ძალის გამოკვლევა ასევე აგროვებს ინფორმაციას მეორადი დასაქმების შესახებ და შესაბამისად სამუშაო ადგილების რაოდენობის დათვლის შესაძლებლობასაც იძლევა.
  გარდა ზემოაღნიშნულისა, სამუშაო ძალის გამოკვლევაში დასაქმება განისაზღვრება როგორც 1 საათით მუშაობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ხოლო საწარმოებისა და ორგანიზაციების გამოკვლევაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა გამოითვლება საანგარიშო პერიოდში დაკავებული სამუშაო ადგილების და ნამუშევარი დროის მიხედვით;
- **მოცვა:** საწარმოების და ორგანიზაციების გამოკვლევა მოიცავს მხოლოდ ფორმალურ სექტორში დასაქმებას, როდესაც სამუშაო ძალის გამოკვლევა მოიცავს როგორც ფორმალურ სექტორში დასაქმებულებს, ისე არაფორმალურად დასაქმებულებს; უფრო მეტიც, სამუშაო ძალის გამოკვლევა მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის ყველა სახეს, განსხვავებით საწარმოებისა და ორგანიზაციების გამოკვლევებისგან, რომელიც არ მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის NACE Rev. 2-ის მიხედვით შემდეგ სექციებს:
  - **სექცია T** – შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის;
  - **სექცია U** – ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა.

15.4. თანამიმდევრულობა – შიდა

მონაცემები თანმიმდევრულია.

16. დანახარჯები და დატვირთვა

სამუშაო ძალის გამოკვლევის ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობაა 15 წუთი. 2024 წელს სამუშაო ძალის გამოკვლევის ბიუჯეტმა 797.4 ათასი ლარი შეადგინა.

17. მონაცემთა გადასინჯვა

17.1. მონაცემთა გადასინჯვა – პოლიტიკა

სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/media/60949/Revision-policy-and-error-correction_2024.pdf

17.2. მონაცემთა გადასინჯვა – პრაქტიკა

მონაცემთა გეგმიური გადასინჯვა განხორციელდა 2018 წელს, როდესაც 2014 მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საფუძველზე გადაანგარიშდა 2002-2016 წლების მონაცემები. არაგეგმიური გადასინჯვა (მონაცემთა დაზუსტების მიზნით) 2024 წელს არ მომხდარა.

18. სტატისტიკური დამუშავება

18.1. პირველადი მონაცემები
სამუშაო ძალის სტატისტიკური მონაცემების ძირითადი წყარო იყო (2016 წლის ჩათვლით) შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა, რომელშიც სამუშაო ძალის გამოკვლევა ჩართული იყო ერთ-ერთი მოდულის სახით; 2017 წლიდან მონაცემების წყაროა სამუშაო ძალის გამოკვლევა. 2017 წლამდე შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენდა 1989 და 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერების მონაცემთა ბაზები, 2017 წლიდან – 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემთა ბაზა. შინამეურნეობების შერჩევა ხორციელდება ორ ეტაპად. თითოეულ რეგიონში საქალაქო და სასოფლო ტიპის დასახლებები განისაზღვრა როგორც შერჩევის ძირითადი სტრატა. შერჩევის პირველადი ერთეული არის სააღწერო უბანი, შერჩევის მეორადი ერთეული – შინამეურნეობის მისამართი. თითოეულ სტრატაში სისტემურად შეირჩევა განსაზღვრული რაოდენობის სააღწერო უბნები სტრატის ზომის პროპორციული ალბათობით. შერჩეული სააღწერო უბნების წინასწარი შემოვლის (აქტუალიზაციის) შემდეგ თითოეული სააღწერო უბნიდან სისტემურად შეირჩევა შინამეურნეობების განსაზღვრული რაოდენობა. 2017 წლამდე შერჩეულ მისამართზე მცხოვრები შინამეურნეობა 1 წლის განმავლობაში გამოიკითხებოდა 4-ჯერ (კვარტალში ერთხელ). 1 წლის შემდეგ მისი ჩანაცვლება ხდებოდა ახალი შინამეურნეობით (მისამართით). ყოველთვიურად ხდებოდა შერჩევის 1/12-ის განახლება. წლის განმავლობაში ხორციელდებოდა მთელი შერჩევის განახლება. 2017 წლიდან შინამეურნეობების გამოიკითხება 2-(2)-2 სქემის მიხედვით. როტაციის ამ სქემის მიხედვით შერჩეულ მისამართზე მცხოვრებ შინამეურნეობაში ინტერვიუ ტარდება ზედიზედ ორ კვარტალში. შემდეგ ორ კვარტალში ამ მისამართზე გამოკითხვა არ ტარდება, ხოლო შემდეგი 2 ინტერვიუ ტარდება მომდევნო წლის იმავე კვარტალებში. შერჩეული შინამეურნეობები გამოიკითხება 4-ჯერ 18 თვის განმავლობაში. ყოველკვარტალურად ხდება შერჩევის 1/4-ის განახლება.
18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე
მონაცემები გროვდება ყოველთვიურად.
18.3. მონაცემთა შეგროვება
2021 წლიდან მონაცემთა შეგროვების მეთოდს წარმოადგენს პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით პერსონალური ინტერვიუს ჩატარება (CAPI). საველე სამუშაოები იწყება ყოველი თვის 8 რიცხვიდან და გრძელდება თვის ბოლომდე. სამუშაო ძალის გამოკვლევაში გამოიყენება 3 კითხვარი: 1) დემოგრაფიული კითხვარი შინამეურნეობის წევრების ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების შესაგროვებლად; 2) ძირითადი კითხვარი, რომელიც განკუთვნილია თითოეულ შერჩეულ შინამეურნეობაში მცხოვრები 15 წლის და უფროსი ასაკის პირებისთვის; 3) უარების ფურცელი – გამოუპასუხებლობის ფორმა უარების მიზეზების დასაფიქსირებლად. კითხვარების ელექტრონული ვერსია განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/562/samushao-dzalis-gamokvleva
18.4. მონაცემთა კონტროლი
მონაცემთა კონტროლი ხორციელდება რამდენიმე ეტაპად: • გამოკვლევის ელექტრონული კითხვარებში ინტეგრირებულია ძირითადი ლოგიკური კონტროლები, რის საფუძველზეც პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით მყისიერად ხდება ინტერვიუს დროს დაშვებული შეცდომების იდენტიფიცირება. • საწყის ეტაპზე საველე სამუშაოების ზედამხედველები ახორციელებენ ინტერვიუერების მიერ შევსებული კითხვარების პირველად ლოგიკურ კონტროლს. შეუსაბამობის ან საეჭვო მონაცემის აღმოჩენის შემთხვევაში საველე სამუშაოების ზედამხედველი გადასამოწმებლად უკან უბრუნებს კითხვარს ინტერვიუერს შესაბამისი კომენტარებით/მითითებებით. საბოლოოდ, შეუსაბამობებისგან თავისუფალი კითხვარი საველე სამუშაოების ზედამხედველის მიერ ელექტრონულად იგზავნება (შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით) საქსტატის სათაო ოფისში. • მომდევნო ეტაპზე კითხვარების გადამოწმება ხორციელდება საქსტატის სათაო ოფისის თანამშრომლების მიერ. ამ შემთხვევაშიც, შეუსაბამობის ან საეჭვო მონაცემის აღმოჩენის შემთხვევაში სათაო ოფისის თანამშრომელი კითხვარს უკან უბრუნებს საველე სამუშაოების ზედამხედველს შესაბამისი კომენტარებით/მითითებებით გადასამოწმებლად. • სათაო ოფისის მიერ ხორციელდება შეუსაბამობებისგან თავისუფალი კითხვარების მიღება, კოდირება (ეკონომიკური საქმიანობის სახეების საერთაშორისო კლასიფიკატორი (NACE) და დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO)) და მათი ასახვა გამოკვლევის მონაცემთა ბაზაში. • საბოლოოდ ხორციელდება გამოკვლევის მონაცემთა ბაზის სიღრმისეული კონტროლი (დადგენილი წესებისა და კრიტერიუმების საფუძველზე, რომელიც ასევე მოიცავს სხვადასხვა პერიოდის გამოკითხვებს შორის კავშირების შემოწმებას) და მონაცემთა გაწმენდა. მონაცემების დაზუსტების

მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, ხდება საველე პერსონალთან ან/და რესპონდენტთან დაკავშირება. • ბოლო ეტაპზე ხორციელდება მონაცემთა ბაზების დამუშავება და ანალიზი სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტის შრომის სტატისტიკის სამმართველოს თანამშრომლების მიერ.
18.5. მონაცემთა გაანგარიშება
მონაცემთა ბაზის გაწმენდის დასრულების შემდეგ ხდება აგრეგირებული მონაცემთა ბაზის ფორმირება და მონაცემების შეწონვა. მონაცემების შეწონვა ხდება სტრატის დონეზე (რეგიონისა და ქალაქ-სოფლის გათვალისწინებით). მაჩვენებლების გაანგარიშება ხორციელდება MS Access პროგრამაში, ხოლო საშედეგო მონაცემების გავრცელება ხდება MS Excel-ის და PC-Axis-ის გამოყენებით.
18.6. მოსწორება
არ გამოიყენება.

19. კომენტარი
-